



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 14.11.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ა(ა)იპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პროგრამული ინჟინერია Software Engineering
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	პროგრამული ინჟინერიის მაგისტრი; Master of Software Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი; 0613
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ქვათაძე - შპს - ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ მაჭავარიანი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა “პროგრამული ინჟინერია“, რომელიც შემუშავებულია ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის, Reuters Foundation Consultants LTD-ს მხარდაჭერითა და პარტნიორობით, BBC Media Action პროექტის ფარგლებში. პროგრამა ახალია. იგი შემუშავებულია ინსტიტუტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის შესაბამისად.

• აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელთა ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 9 სექტემბერს, (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის MES 7 22 0000821214, 19/07/2022, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და „ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ვიზიტის შესახებ). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2022 წლის 7 სექტემბერს - მოხდა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება. 2022 წლის 9 სექტემბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის ინსტიტუტში ვიზიტით. გაიმართა შეხვედრები: დაწესებულების ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. ასევე, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები. ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა **სრულად შეესაბამება პირველ სტანდარტს**, მიუხედავად იმისა, 1.1 კომპონენტის შესაბამისად, პროგრამას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და მათთან ლოგიკურად დაკავშირებული სწავლის შედეგები. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას, 1.2 კომპონენტთან მიმართებაში არსებობს შენიშვნები. პროგრამისთვის შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასებისა და მათი ანალიზის საფუძველზე გაუმჯობესების მეთოდოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელი დოკუმენტები სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების პროცესს, სასწავლო პროგრამაში ჩართული პედაგოგების გარკვეული ნაწილი (ძირითადი და მოწვეული), ნაკლებადაა ამ პროცესში გათვითცნობიერებული.

საგანმანათლებლო პროგრამა **მეტწილად შეესაბამება მეორე სტანდარტს**, 2.1 კომპონენტი შეფასდა მეტწილად, რადგან - დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს მოწოდებული სპეციალობის გამოცდის პროგრამაში თემები აღწერილია ICT-ს ფართო დარგების ზოგადი თემებით, რაც აპლიკანტს არ მისცემს საშუალებას განსაზღვროს კონკრეტული საკითხები. აუცილებელია თემების მეტი დაზუსტება და პროგრამაში მათი მითითება, თუნდაც დანართის სახით, 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად, რადგან - პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის, აუცილებელია პროგრამაში გაძლიერდეს ალგორითმების მიმართულების საგნები. 2.3 კომპონენტი შეფასდა ნაწილობრივად, რადგან - სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უმთავრესად შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან, მაგრამ რიგი საგნები 40-60%-ით ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისია და არ შეესაბამება სათაურს. ცალკეულ სილაბუსებში გამოყენებულია ლიტერატურა, რომელიც არ შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს (არის ე.წ. მზა რეცეპტებისა თუ პრაქტიკული „გაიდლაინების“ კრებული). 2.4 კომპონენტი შეფასდა მეტწილად, რადგან საჭიროა საგნების ისეთი საკითხებით გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს დარგობრივი კვლევითი უნარების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მესამე სტანდარტს**.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეოთხე სტანდარტს**, **თუმცა 4.1 კომპონენტთან მიმართებაში გვაქვს შენიშვნა** - ლექტორთა უმრავლესობას არ გააჩნია დოქტორის ხარისხი და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება. მოწვეულ პედაგოგთა შორის დაფიქსირდა პიროვნება, რომელსაც არ ჰქონდა ინფორმაცია თავისი სტატუსის შესახებ და იმ სილაბუსის შესახებ, რომელშიც მოიხსენება როგორც ავტორი.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეხუთე სტანდარტს**.

▪ **რეკომენდაციები**

1. სავალდებულო წესით მოხდეს პედაგოგების ინფორმირება საგნის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის, ამ შედეგების შეფასების პროცედურების და შეფასების შედეგებზე რეაგირების პროცედურების შესახებ;
2. სპეციალობის გამოცდის თემები მეტად დაკონკრეტდეს და დაემატოს პროგრამას;
3. დაემატოს პროგრამას ალგორითმების მიმართულების საგნები;
4. გაძლიერდეს საგნების „პროგრამული ინჟინერიის პარადიგმები“, „მონაცემთა ბაზების დიზაინი“ , „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, „კომპიუტერული ქსელის ინჟინერია“, „პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოება“ სილაბუსები მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი საკითხებით;
5. სავალდებულო საგანი „კვლევის მეთოდები“ ჩანაცვლდეს დარგობრივი კვლევის მეთოდებით და არსებულმა საგანმა გადაინაცვლოს არჩევით ბლოკში უფრო კონკრეტული სათაურით, მაგ. „სოციალური კვლევის მეთოდები“;

6. განახლდეს ლიტერატურა საფეხურის შესაბამისი წიგნებით;
7. გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა დარგის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე პიროვნებებით. ჩართვა;
8. მკაფიოდ განისაზღვროს პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს მოწვეულ პედაგოგთა ჩართულობას პროგრამაში და მათზე მიწერილი საგნების სილაბუსების შემუშავებას.
9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდეს პროგრამის პერსონალის პერიოდული ტრენინგი პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს აღნიშნულ პროცესში მათი მაქსიმალური ჩართულობა.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია გამოიკვეთოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი პროგრამის პერსონალის შერჩევისა და სამსახურის აყვანის პროცესში. სასურველია, მონიტორინგი გაუწიოს პროცესის სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებას.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

-

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაფასებლად წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის „პროგრამული ინჟინერია“ მიზნები წარმოდგენილია 6 პუნქტით:

1. სიღრმისეული ცოდნა პროგრამული ინჟინერიის ძირითად კონცეფციების, თეორიების, მეთოდების, მიდგომებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ;
2. ტექნოლოგიების სფეროს თანამედროვე, დიდი წარმადობის, მაღალი სანდობის, ხარისხიანი, მასშტაბური/სკალირებადი, ადვილად მოვლადი პროგრამული უზრუნველყოფის დაპროექტებისთვის საჭირო ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება;

3. ინკლუზიური, მომხამრებლის საჭიროებაზე მორგებული, მაღალი ხარისხის, დოკუმენტირებული, ინოვაციური პროგრამული უზრუნველყოფისთვის საჭირო პრაქტიკული უნარები;
 4. სფეროს უახლოეს მეთოდებისა და ტექნოლოგიების ანალიზზე დაფუძნებული პრობლემის კომპლექსურად გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
 5. სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა ტიპის ციფრული პროდუქტის პროგრამული უზრუნველყოფისთვის შექმნისთვის საჭირო ხელსაწყოების გამოყენების უნარი, სისტემური დიზაინისა და არქიტექტურის, ხარისხის მართვისა და ტესტირების ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების უნარი;
 6. მულტიდისციპლინურ გარემოში პროფესიული ეთიკური ნორმებისა და პრინციპების დაცვით გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.
- მიზნების აღწერაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ცოდნა უნარები და კომპეტენციები, რომლის მიღწევაც დაგეგმილია პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში. ისინი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ასახავს იმ მოთხოვნებს, რაც თანამედროვე დასაქმების ბაზარზეა, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგები წარმოდგენილი სამ ქვეჯგუფად, რეკომენდაციის შესაბამისად

ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრი:

- სწავლის შედეგი 1 - სიღრმისეულად აღწერს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისთვის საჭირო თანამედროვე პრინციპებს, თეორიებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის სფეროში შეთანხმებულ და აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს, უახლეს ტენდენციებსა და მიდგომებს;
- სწავლის შედეგი 2 - სისტემურად განსაზღვრავს ხარისხიანი, უსაფრთხო და მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისთვის საჭირო როგორც ეთიკურ ისე სამართლებრივ საკითხებს.
- სწავლის შედეგი 3 - სიღრმისეულად განსაზღვრავს და გამოკვეთს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის პროცესში არსებული პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ და სამეცნიერო გზებს.

უნარი:

მაგისტრი:

- სწავლის შედეგი 4 - სხვადასხვა ტიპის ციფრული პროდუქტისა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისთვის იყენებს საჭირო უახლეს ხელსაწყოებს და დამოუკიდებლად იმუშავებს განხორციელების მოკლევადიან და/ან გრძელვადიან გეგმებს;
- სწავლის შედეგი 5 - ახალი, ორიგინალური და ინოვაციური მიდგომებით კრიტიკულად აანალიზებს და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად ახორციელებს მაღალი ხარისხის პროგრამული პროდუქტის იდეიდან - მომხმარებელამდე მისასვლელი სრული სასიცოცხლო ციკლის პრაქტიკულ რეალიზებას, როგორც დარგობრივ, ასევე ინტერდისციპლინურ კონტექსტში;
- სწავლის შედეგი 6 - კვლევის უახლოეს მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე დაყრდნობით დამოუკიდებლად იძიებს მონაცემებს, სისტემურად ამუშავებს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ სამეცნიერო მიდგომებსა და ინფორმაციას, რაზე დაყრდნობითაც ქმნის კვლევით ნაშრომს და ანვითარებს კომპლექსურ პროგრამულ პროდუქტებს;
- სწავლის შედეგი 7 - აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით წარუდგენს კვლევის შედეგებს, საკუთარ დასკვნებსა და არგუმენტებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- სწავლის შედეგი 8 - როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდთან მუშაობის პროცესში პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით წარმართავს სამუშაო პროცესს პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში და დამოუკიდებლად ითვისებს ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და საკომუნიკაციო საშუალებებს;
- სწავლის შედეგი 9 - დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და პასუხისმგებლობას სამუშაო პროცესში წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტის გზებზე, ორიგინალური იდეების დანერგვით შეაქვს წვლილი პროგრამული უზრუნველყოფის დარგის განვითარებაში;

- სწავლის შედეგი 10 - დამოუკიდებლად აფასებს საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს, გრძელვადიან პერსპექტივაში გეგმავს სამომავლო პროფესიული განვითარების პროცესს.

შედეგები შეჯერებულია პროგრამის მიზნებთან.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“, რომელშიც აღწერილია ყოველი სწავლის შედეგის შეფასებისათვის შერჩეული საგნები, საგნის შეფასების კონკრეტული მეთოდი და სამიზნე ნიშნულები. წარმოდგენილია შეფასების როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი მეთოდები.

სწავლის შედეგები წარმოდგენილია ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“ აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების პროცედურა, მონიტორინგი, პერიოდულობა და შემდგომი აქტივობები.

მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელი დოკუმენტები სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების პროცესს, სასწავლო პროგრამაში ჩართული პედაგოგების გარკვეული ნაწილი (ძირითადი და მოწვეული), ნაკლებადაა ამ პროცესში ჩაბეჭდილი.

აუცილებელია, ყოველი საგნის პედაგოგი ფლობდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ საგნის სწავლის რომელი შედეგი შეესაბამება პროგრამის სწავლის რომელ შედეგს და რითი ხდება მისი შეფასება. ასევე იცნობდეს პროცედურებს ამ შედეგების გამოყენების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დოკუმენტი „პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“;
- ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- ინტერვიუ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- სავალდებულო წესით მოხდეს პედაგოგების ინფორმირება საგნის სწავლის შედეგების შესაბამისობის შესახებ პროგრამის სწავლის შედეგებთან და მათი შეფასების პროცედურების ამ შედეგების გამოყენების შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში ქულობრივ შეფასებაში გადაიხედოს ქულობრივი შეფასების ბიჯი 0.5.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში დეტალურადაა აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში; 2) საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება; 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: <ul style="list-style-type: none"> - დოკუმენტაციის ანალიზი - ამ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააკლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას; - გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე)*- გამოცდიდან განთავისუფლებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს (TOEFEL< IELTS) ან ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე - გამოცდა სპეციალობაში* - რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის სფეროში. <p>მიუხედავად იმისა , რომ პროცედურა დეტალიზებულია და აღწერილია პროგრამაში, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას, სპეციალობის გამოცდის თემები არაა წარმოდგენილი</p>

პროგრამაში. დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს მოწოდებულ პროგრამაში თემები აღწერილია ICT-ს ფართო დარგების ზოგადი თემებით, რაც აპლიკანტს არ მისცემს საშუალებას განსაზღვროს კონკრეტული საკითხები. აუცილებელია თემების მეტად დაზუსტება და პროგრამაში მათი მითითება, თუნდაც დანართის სახით. აპლიკანტისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება სრულად უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხვის გამჭვირვალებას და სამართლიანობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „პროგრამული ინჟინერია“ .

რეკომენდაციები:

სპეციალობის გამოცდის თემები მეტად დაკონკრეტდეს და დაემატოს პროგრამას

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულებაში მოქმედი შიდა რეგულაციების მიხედვით, არის მკაფიო და თანმიმდევრული. პროგრამის დიდ ნაწილს წარმოადგენს სავალდებულო კურსები, ასევე პროგრამას გააჩნია არჩევითი სასწავლო კურსებიც. პროგრამას აქვს კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის სახით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დარგობრივი საგნები ითვალისწინებენ პროგრამის სფეროს თანამედროვე მიღწევებს, სიღრმისეულობით არ რიგი საგნები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს.

თუ ვიმსჯელებთ მხოლოდ საგნების სათაურის მიხედვით, პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, მაგრამ რიგი საგნები შინაარსით სრულად ვერ აკმაყოფილებს მაგისტრატურის საფეხურს და შინაარსობრივად არ შეესაბამება სათაურს: „პროგრამული ინჟინერიის პარადიგმები“, პროგრამაში მითითებულია „მონაცემთა ბაზების

<p>დიზაინი“ ხოლო სილაბუსში - „მონაცემთა ბაზების არქიტექტურა“, „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, „კომპიუტერული ქსელის ინჟინერია“, „პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოება“, „კვლევის მეთოდები“.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელია პროგრამაში გაძლიერდეს ალგორითმების მიმართულების საგნები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სილაბუსები: •
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დაემატოს პროგრამას ალგორითმების მიმართულების საგნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად), მათში აღწერილი სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უმთავრესად შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან, მაგრამ რიგი საგნები 40-60%-ით ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისია და არ შეესაბამება სათაურს: პროგრამული ინჟინერიის პარადიგმები - შინაარსობრივად წარმოადგენს დაპროგრამებას C#-ში, რომლის 50% საბაკალავრო საფეხურის შესაბამისია; პროგრამაში მითითებულია „მონაცემთა ბაზების დიზაინი“ სილაბუსში „მონაცემთა ბაზების არქიტექტურა“ - შინაარსობრივად 60%-მე მოიცავს რელაციურ მონაცემთა ბაზების აღწერას (ნაკლებად დიზაინი) და მასზე მუშაობის პროგრამულ ინსტრუმენტებს SQL; საგანი „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“ ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისია, ამასთან სილაბუსში დაფიქსირებული ავტორი, რომელიც მითითებულია, როგორც მოწვეული პედაგოგი, რეალურად არ მონაწილეობდა მის შემუშავებაში და არ გააჩნია გამოცდილება ამ დისციპლინის სწავლებაში.</p>

„კომპიუტერული ქსელის ინჟინერია“ - საგნის 50% ეთმობა ქსელების ელემენტარული საწყისების სწავლებას; „პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოება“ - საგნის 40%-ზე მეტი ეთმობა კრიპტოგრაფიის საწყისების შესწავლას; „კვლევის მეთოდები“ საგანი მოიცავს სოციოლოგიური კვლევის სწავლებას, რაც თავის მხრივ საინტერესო საგანია, თუმცა აუცილებელია მაგისტრანტმა შეისწავლოს დარგობრივი კვლევის მეთოდები.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ცალკეულ სილაბუსებში გამოყენებულია ლიტერატურა, რომელიც არ შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს (არის ე.წ. მზა რეცეპტებისა თუ პრაქტიკული „გაიდლაინების“ კრებული).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- გაძლიერდეს საგნების პროგრამული ინჟინერიის პარადიგმები, „მონაცემთა ბაზების დიზაინი“ , „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, „კომპიუტერული ქსელის ინჟინერია“, „პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოება“ სილაბუსები მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი საკითხებით
- სავალდებულო საგანი „კვლევის მეთოდები“ ჩანაცვლდეს დარგობრივი კვლევის მეთოდებით და არსებულმა საგანმა გადაინაცვლოს არჩევით ბლოკში უფრო კონკრეტული სათაურით, მაგ. „სოციალური კვლევის მეთოდები“.
- განახლდეს ლიტერატურა საფეხურის შესაბამისი წიგნებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ისეა აგებული, რომ ყოველი კომპონენტი უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს, რადგან რიგი სილაბუსების შინაარსი არ შეიცავს სამაგისტრო სწავლების საფეხურის შესაბამის სიღრმისეულ საკითხებს (იხ. სტანდ 2.2 შეფასება).

<p>მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ცალკე კომპონენტად არაა პრაქტიკა რიგი სასწავლო კურსების ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პრაქტიკულ აქტივობებზე. სასწავლო კურსების ფარგლებში ხორციელდება ლაბორატორიული სამუშაოები, ისევე როგორც დაპროგრამებასთან დაკავშირებული სავარაჯიშეობის შესრულება, განხილვა და დამუშავება.</p> <p>სასწავლო პროგრამის მეოთხე სემესტრში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის სახით ახდენს მიღებული ცოდნის, გამოცდილების და ტექნიკური უნარების დემონსტრირებას, მის პრაქტიკულ გამოყენებას, რაც გულისხმობს ფუნქციონირებადი პროგრამული პროდუქტის და ამ პროექტის აღმწერი დოკუმენტის შექმნას.</p> <p>ექსპერტებს ვიზიტისას არ მოგვეცა საშუალება გავცნობოდით სამაგისტრო ნაშრომებს, ვინაიდან პროგრამა ახალია და არ ჰყავს კურსდამთავრებულები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სილაბუსები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაძლიერდეს შინაარსობრივად საგნები მაგისტრატურის შესაბამისი ისეთი საკითხებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ დარგობრივი კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სწავლების მეთოდებს. სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები არის მორგებული სასწავლო კურსის შინაარსზე. აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან საკონსულტაციო საქმიანობა დამატებით ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.</p>

<p>პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება მოხდება, უნივერსიტეტში კარგად აპრობირებული სწავლა/სწავლების მეთოდებით.</p> <p>სწავლება-სწავლის მეთოდები სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) ; ○ სწავლა-სწავლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა აგებულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად.</p> <p>თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამის სტუდენტების ცოდნის შეფასებისას გამოიყენება კანონით დადგენილი წესები და რელევანტური შეფასების კრიტერიუმები. შეფასების სისტემა გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.</p> <p>სტუდენტთა შეფასების სისტემა ასახულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე. აღნიშნული წესი არეგულირებს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის, სწავლის საფასურის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, შეფასებისა და სხვა პროცედურებს. აღნიშნული წესი განსაზღვრავს ასევე, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის მინიმალურ ზღვრებს, რომლის მიხედვითაც, აკადემიური და მოწვეული პერსონალს, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, თავად შეუძლია შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის განსაზღვრა 20%-დან 50%-ის ფარგლებში; ხოლო, დასკვნითი გამოცდისათვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს განსაზღვრული ქულის 60%-ს. შესაბამისად, ბუნდოვანია აღნიშნული</p>

წესების თანხვედრა, ვინაიდან პირველი განსაზღვრების მიხედვით, მინიმალური ზღვრის ფარგლები შემოსაზღვრულია 50%-ით. ამასთან, თუკი სტუდენტი არ ეთანხმება გამოცდაში მიღებულ შედეგს, აღნიშნული წესი განსაზღვრავს გასაჩივრების პროცედურასაც.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები, რაც წინსწრებითაა სტუდენტებისათვის ცნობილი.

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს თავიანთ სწავლის შედეგებზე, როგორც სალექციო კურსის განმავლობაში, ასევე, ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ ინფორმირებულები არიან და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ მათთვის გამოყოფილი საკონსულტაციო საათებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სასწავლო პროგრამის სილაბუსები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადეკვატურ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)“-ს მიერ წარმოდგენილი „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან სასწავლო პროცესის საწყისი ეტაპიდანვე უზრუნველყოფილია სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, ხოლო სტუდენტებს აქტიური კომუნიკაცია და მხარდაჭერა აქვთ სწავლის ყველა ეტაპზე მათთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში არსებობს „სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდებას კარიერული განვითარების მიმართულებით. ამასთან, აღნიშნული ცენტრი ორიენტირებულია სტუდენტებისათვის მრავალფეროვანი სასწავლო გარემოს შექმნასა და სტუდენტების უფლებების დაცვის უზრუნველყოფაზე. როგორც სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდანაც დასტურდება, სტუდენტებს აღნიშნული სამსახურის მხრიდან მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა ვაკანსიების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

ასევე, უნივერსიტეტში არსებობს „საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების დეპარტამენტი“, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტებისათვის მოიძიოს გაცვლით პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუებიდან დასტურდება, მათ მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ.

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, მოვალეობები და მიზნები უნივერსიტეტის დებულებაშია გაწერილი და ხელმისაწვდომია ყველასთვის უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის დებულება;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის სილაბუსები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)“-ს მიერ წარმოდგენილი „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

უნივერსიტეტში არსებობს „სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი“, რომელშიც განსაზღვრულია როგორც სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევის წესი, ასევე სხვა მნიშვნელოვანი ეტაპები, რაც ნაშრომზე მუშაობის პროცესში სჭირდება სტუდენტს (რეცენზენტის აცილების, ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და სხვა პროცედურები). თუმცა, პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში დაზუსტებულია ის კერძო მოთხოვნები, რაც სტუდენტმა პროგრამის ფარგლებში უნდა გაითვალისწინოს.

აღნიშნული წესი არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევას, რომლის მიხედვითაც მაგისტრანტის ხელმძღვანელობა შეუძლია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც, ამასთან, ექნება არჩეულ თემასთან დაკავშირებული კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციებიც. თუმცა, თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა სტუდენტს ჰყავდეს თანახელმძღვანელიც.

აღნიშნული წესის მიხედვით, ერთ პირს შეუძლია მაქსიმუმ 5 ნაშრომის ხელმძღვანელობა, ხოლო „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ პირთაგან, მხოლოდ ორ მათგანს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, შესაბამისად, ვინაიდან პროგრამა გეგმავს მინიმუმ 12 სტუდენტის მიღებას, საჭიროა გაიზარდოს პოტენციური ხელმძღვანელების რაოდენობა.

ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელშეკრულება მოიცავს კონკრეტულ პუნქტებს, რისი გათვალისწინება და შესრულებაც არის აუცილებელი პირობა ხელმძღვანელის მხრიდან. კერძოდ, მაგისტრანტთა რეგულარული კონსულტაცია (კვირაში არანაკლებ 1 საათი) საკვლევი თემის, კვლევის მეთოდების შერჩევასა და დახვეწასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელი, ასევე, ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის ხელმისაწვდომობა საკვლევი საკითხთან დაკავშირებული საჭირო ლიტერატურითა თუ ინვენტარით.

აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტის „სტუდენტთა მარეგულირებელ წესში“ განსაზღვრულია პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების და გამოვლენის შემთხვევაში საჭირო რეაგირების პროცედურები და მექანიზმები, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის მხრიდან, პირველ რიგში ხდება გაცნობა და ახსნა იმისა, თუ რა არის პლაგიატი, რატომ არის დაუშვებელი სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისება, ხოლო მსგავსი ქმედების გამოსავლენად, ნაშრომები იტვირთება შესაბამის ელექტრონულ პორტალზე. ამასთან, აღნიშნულ წესში განსაზღვრულია მსგავს ქმედებაზე რეაგირების პროცედურებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;

<ul style="list-style-type: none"> ○ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია; ○ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში; ○ უნივერსიტეტის ვებ.გვერდი.
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 3 პროფესორი, საიდანაც მხოლოდ ორი არის დარგობრივი, 1 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი და 8 მოწვეული ლექტორი. უმრავლესობას არ გააჩნია დოქტორის ხარისხი და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება.

მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია მხოლოდ მათ მიერ პრაქტიკული გამოცდილებით დასტურდება. მოწვეულ პედაგოგთა შორის დაფიქსირდა პიროვნება, რომელსაც არ ჰქონდა ინფორმაცია თავისი სტატუსის შესახებ და იმ სილაბუსის შესახებ, რომელშიც მოიხსენება ავტორად.

სტუდენტთა დახმარება წარმოადგენს პედაგოგთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილს. იგი მიმდინარეობს რეგულარულად და ემსახურება სტუდენტთა წარმატებულ სწავლას. სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომელთაც შეხვდა ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე ვიზიტისას, "კმაყოფილნი" არიან მათთვის გაწეული დახმარებით.

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლის სტრუქტურა დაკომპლექტებულია ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური პერსონალით. პედაგოგებს და სტუდენტებს დახმარებას უწევს ადმინისტრაცია სასწავლო პროგრამის ორგანიზების საკითხებში. ადმინისტრაციული პერსონალი საკმარისი რაოდენობითაა. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს. სკოლის უშუალო ხელმძღვანელია დეკანი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის ზოგად სტრატეგიულ განვითარებასა და მართვაზე უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით. დეკანთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად სკოლის აკადემიური საბჭო ჩართულია პროგრამების განვითარებაში, სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაში, ლექტორების მოძიებასა და გასაუბრებაში, აკადემიურ პროცესში მიმდინარე პრობლემებისა და მიღწევების განხილვასა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების მიღებაში. პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელია გამართული პროგრამის ადმინისტრაციული ფუნქციონირებისთვის; სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს სწავლების ხარისხის კონტროლს; სკოლის ადმინისტრაციული კოორდინატორი პასუხისმგებელია პროგრამის ფინანსების მართვაზე, შესყიდვებსა და ვებ-გვერდის გამართულად ფუნქციონირებაზე.

უსდ-ს გააჩნია პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია სტუდენტთა რაოდენობასთან. აგრეთვე, პროგრამის მდგარობის შესანარჩუნებლად, დაცულია ბალანსი მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის (50-50-ზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალი დარგის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე პიროვნებებით.
- მკაფიოდ განისაზღვროს პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავენ მოწვეულ პედაგოგთა ჩართულობას პროგრამაში და მათზე მიწერილი საგნების სილაბუსების შემუშავებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
<p>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</p> <p>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ა(ა)იპ ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა, რომელსაც ახორციელებს ყოველწლიური ანგარიშების ფორმით. კვლევის დეპარტამენტს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ადამიანური რესურსების სამსახურთან ერთად, ყოველი წლის დასასრულს ევალუა, შეკრიბოს ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი აქტივობების შესახებ და მის საფუძველზე დაგეგმოს მომავალი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები.</p> <p>საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის გასცემს შიდა გრანტებს, რაც მოიცავს როგორც კვლევით, ისე სამივლინებო გრანტებს კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, მასში მონაწილე აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალს ჯერ არ უსარგებლია აღნიშნული გრანტებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. საკლასო ოთახების რაოდენობა, ხარისხი, მედია და IT სიმძლავრეები შეესაბამება პროგრამისათვის საჭირო სტანდარტებს, სხვა პროგრამებისათვის საჭირო რესურსების გათვალისწინებითაც კი. შენობაში აგრეთვე გამოყოფილია სივრცეები სტუდენტების ჯგუფური თუ ინდივიდუალური მუშაობისათვის.</p> <p>პროგრამული ინჟინერიის მიმართულების სტუდენტებისთვის გამოყოფილია ლაბორატორია, რომელიც შეესაბამება პროგრამისთვის საჭირო სტანდარტებს. კომპიუტერები აღჭურვილია საჭირო სამომხმარებლო პროგრამებით.</p> <p>საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით. წვდომა დაშვებულია ისეთ ელექტრონულ ბაზებზე როგორცაა EBSCO, JSTOR და სხვა. დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, მოწვეული ლექტორები, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი) ინფორმირებული არიან მატერიალური თუ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის თავისუფლების შესახებ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ○ ბიბლიოთეკარებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p> <p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამული ინჟინერიის პროგრამის ფუნქციონირება გათვალისწინებულია თვითდაფინანსების ხარჯზე, რაც განხორციელდება სწავლების გადასახადის მეშვეობით. პროგრამის თვითმყოფადობისათვის საჭიროა მინიმუმ 12 სტუდენტის მიღება ყოველწლიურად. პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მასში გათვალისწინებულია პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება დაგეგმილი ხარჯების დაანგარიშება. დაბალანსების შემდეგ პროგრამის ბიუჯეტი წარედგინება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომელთანაც ხდება მისი საბოლოო შეთანხმება. ბიუჯეტში შედის ისეთი კომპონენტები, როგორცაა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხარჯი, პროგრამის ადმინისტრაციის ხელფასები, ლექტორთა ჰონორარები, სტუდენტური პროექტებისა და აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხა, ბიბლიოთეკა, საკანცელარიო საქონელი და სხვა. უსდ-ს გათვალისწინებული აქვს ხარჯები ცენტრალური ბიუჯეტიდან და ადმინისტრაცია გამოთქვამს მზადყოფნას დააფინანსოს პროგრამა იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ მიიღებს საჭირო რაოდენობის სტუდენტებს და ვერ შეძლებს საკუთარი ხარჯების დაფარვას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიუჯეტი ○ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, ბიბლიოთეკარებთან ინტერვიუების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-ში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც კოორდინირებს უწევს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესს. უსდ-ს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებს- „თავი VIII სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები“. „თავი III საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის მხრივ მოქმედებს PDCA პრინციპების შესაბამისად, რაც გულისხმობს, P (გეგმა) - დაგეგმვა; D (გააკეთოს) განხორციელება; C (შემოწმება) - შემოწმება; A (მოქმედება) - რეაგირება. აღნიშნული პრინციპები უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების, დამტკიცების, შეფასების და გაუმჯობესების პროცესში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურ ჩართულობას. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ინტერვიუს პროცესში აღწერეს რომ, პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებულ იქნა კომპლექსური მიდგომა, რაც, გულისხმობს, ერთი მხრივ, უკვე არსებული ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზს, ხოლო, მეორე მხრივ, დაინტერესებულ მხარეებთან აქტიურ თანამშრომლობას, რაც გამოიხატა აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვებით, ანალოგიური საუკეთესო პრაქტიკების შესწავლითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევით. გამოკითხვების შედეგების ანალიზის შედეგად, შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რასაც მოჰყვა სასწავლო კურსების შინაარსის შემუშავება და მათთვის შეფასების მეთოდების განსაზღვრა. აღნიშნული წესი შეესაბამება თვითშეფასების ანგარიშში მოცემულ ინფორმაციასა და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს.</p> <p>პროგრამის შემუშავების ნაწილში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი გამოიხატა პროგრამის შეფასებით და რეკომენდაციების მომზადებით, რათა ის შესაბამისი</p>

ყოფილიყო აკრედიტაციის სტანდარტებთან. პროგრამის სამუშაო ვერსია განიხილებოდა სკოლის საბჭოზე, ხოლო პროგრამის საბოლოო ვერსია, რომელიც მოწონებულ იქნა ხარისხის სამსახურის მიერ დამტკიცდა უსდ-ს აკადემიურ საბჭოზე.

აღსანიშნავია ფაქტი რომ, დაინტერესებული მხარეებისგან მოგროვილი მონაცემების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობით განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები და მათი გაზომვის პერიოდულობა. უსდ განახორციელებს პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებას. როგორც ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა ინტერვიუზე განმარტეს, პირდაპირ მეთოდებში ძირითადად გულისხმობენ პროექტებს, ხოლო არაპირდაპირ მეთოდებში - გარე ფაქტორების შეფასებასა და ანალიზს, კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზს, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებულ ფოკუს-ჯგუფის ანგარიშს, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს და სხვა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ფაქტი რომ, პროგრამის მოწვეულ პერსონალში მითითებული იყო პიროვნება, რომელიც რეალურად არ თანამშრომლობს უსდ-თან. პროგრამის პერსონალი არის ერთ-ერთი განსაზღვრელი ფაქტორი პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისა. ამიტომაც მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგს უწყვედეს პროგრამის ადამიანური რესურსების შერჩევისა და სამსახურში აყვანის პროცესს, რათა არ მოხდეს მომავალში მსგავსი ფაქტის განმეორება.

ინტერვიუს პროცესში ასევე დაფიქსირდა მოცემულობა რომ პერსონალის გარკვეული ნაწილი არ იცნობდა და ვერ ერკვეოდა პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის შესახებ. ამიტომაც, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა განახორციელოს პერსონალის ინფორმირება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის შესახებ პროგრამის სწავლის შედეგებთან და მათი შეფასების პროცედურების ამ შედეგების გამოყენების შესახებ, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს მათი ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. სწავლის შედეგების შესაფასებლად, უსდ-ში ასევე დანერგულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის პრაქტიკა. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი თავისი არსით მოიზარებს სტუდენტების საბოლოო შეფასებების ანალიზს, რასაც ყოველწლიური ხასიათი აქვს. ელექტრონული ბაზის - lmb.gipa.ge-ის მეშვეობით ხდება ნიშნების ექსპორტი და დინამიკაში დაკვირვება. განასკუთრებული აქცენტია გამახვილებული იმ შეფასებებზე სადაც უმაღლესი (A) და არაადამკამყოფილებელი (F) შეფასება 30%-ზე მეტს აღენიშნება. აქვე პროგრამის ხელმძღვანელები კურიკულუმის რუკის ფორმირებისას განსაზღვრავენ სპეციფიკურ მაჩვენებლებს კონკრეტულ საგნებთან მიმართებით (ინდივიდუალურად), თუ რამდენმა სტუდენტმა უნდა მიიღოს დადებითი შეფასება საგანში, რის შემდეგაც ხდება აღნიშნულ ნიშნულებთან დადარება. ვინაიდან პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა ახალია, აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ მოქმედი პროგრამების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
- ინტერვიუს შედეგები

<ul style="list-style-type: none"> ○ ანალოგიური პროგრამების ანალიზი ○ შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნდა განხორციელდეს პროგრამის პერსონალის პერიოდული ტრენინგი პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს აღნიშნულ პროცესში მათი მაქსიმალური ჩართულობა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>მიზანშეწონილია გამოიკვეთოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი პროგრამის პერსონალის შერჩევისა და სამსახურის აყვანის პროცესში. სასურველია, მონიტორინგი გაუწიოს პროცესის სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებას.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა ახალი. მისი სრულყოფილი გარე შეფასება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა სხვა პროგრამებისთვის რეგულარულად ხდება გარე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენება.</p> <p>თვითშეფასების ანგარიშში უსდ აცხადებს რომ, სააკრედიტაციო და საავტორიზაციო პროცესებში იგი აქტიურად იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს. ამ მიმართულებით უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მოწვეულ ექსპერტებთან და იყენებს მათ მიერ გამოთქმულ რჩევებსა და რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების/სრულყოფის თვალსაზრისით. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის შენარჩუნებისა და ამაღლების კულტურის დამკვიდრებას. გარე შეფასების უზრუნველყოფის მიზნით მოწვეულ იქნა ადგილობრივი ექსპერტი - პროგრამული ინჟინერიის დარგის სპეციალისტი. პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა საბოლოო სახით ჩამოყალიბდა გარე ექსპერტების რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. ასევე, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების შესწავლისა და პროგრამაში ასახვის მიზნით განხორციელდა უცხოური ანალოგიური პროგრამების ანალიზი.</p> <p>ინტერვიუს პროცესში აღნიშნული მოცემული ინფორმაცია დადასტურდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ. მათ შეძლეს მაგალითების მოყვანა, კონკრეტულად რა გაითვალისწინებ პროგრამის შემუშავების პროცესში გარე</p>

<p>შეფასებიდან. უსდ-ს მტკიცებულებად წარმოდგენილი ჰქონდა ერთი გარე ექსპერტის დასკვნა.</p> <p>გარდა მოწვეული გარე ექსპერტის შეფასებისა უსდ აცხადებს რომ, იგი გარე შეფასებად ასევე განიხილავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გაცემულ რეკომენდაციებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები ○ გარე შეფასება ○ საგანმანათლებლო პროგრამა
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელის წესის შესაბამისად (თავი VIII), სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით, მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, ლექტორების მუშაობის ეფექტიანობა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები. სწავლის ხარისხის შეფასება თავის მხრივ ემყარება შემდეგ ძირითად მიმართულებებს: გარე ფაქტორების შეფასება და ანალიზი; შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება; კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება; სასწავლო პროცესის შიდა შეფასება;</p>

ჯვარედინი შეფასება; სასწავლო პროცესის შეფასების შედეგების ანალიზი და გამოყენების პროცედურა. მიღებულ შედეგებზე რეაგირების მიზნით სამუშაო ჯგუფი იკრიბება სემესტრის დასრულებისას და გონივრულ ვადაში ახდენს შედეგების გაანალიზებას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების სახით წარედგინება სკოლის საბჭოს განსახილველად. ეს უკანასკნელი აანალიზებს შემუშავებულ რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ დახვეწასთან დაკავშირებით და ატარებს შესაბამის რეაგირებას გამოვლენილი ხარვეზებისა და შემუშავებული რეკომენდაციების ხასიათიდან გამომდინარე. წესში მოცემული აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა ინტერვიუებიდანაც.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი პროგრამების გასაუმჯობესებლად უსდ იყენებს შემდეგ შეფასების ფორმებს: კოლეგიალური შეფასება; სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება; დიპლომანტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება; პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტის მიერ პრაქტიკის მსვლელობის შეფასება; სტუდენტების ფოკუს ჯგუფის შეფასება; აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის წლიური შეფასება; ინტერნაციონალიზაციის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ხარისხის შეფასება. ვინაიდან პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა ახალია, აღნიშნული შეფასების შედეგები არსებობს მხოლოდ მოქმედი პროგრამების ფარგლებში. ინტერვიუს დროს ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა დაადასტურეს აღნიშნული შეფასების ფორმების არსებობა და შეფასებულ შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების ნაწილში. შეფასების ჩამოთვლილი ფორმების შესახებ, ისაუბრა როგორც პროგრამის პერსონალმა, ასევე სხვა მოქმედი პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ასევე, განხორციელდა პროგრამის პროგრამის დადარება ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. კერძოდ შედარებულია შემდეგი ადგილობრივი უსდ-ების ანალოგ პროგრამებთან:

- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი, სამაგისტრო პროგრამა - პროგრამული ინჟინერია
- ✓ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, სამაგისტრო პროგრამა - ინფორმატიკა
- ✓ საქართველოს უნივერსიტეტი, სამაგისტრო პროგრამები- ინფორმაციული ტექნოლოგიები და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
- ✓ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (BTU), სამაგისტრო პროგრამა - ინფორმაციული სისტემების მართვა - DEVOPS
- ✓ კავკასიის უნივერსიტეტი, სამაგისტრო პროგრამა - ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
- ✓ მადრიდის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი, კომპიუტერული მეცნიერებების სკოლა, სამაგისტრო პროგრამა- Official Master in Software Engineering – European Master in Software Engineering (EMSE)
- ✓ გოთენბურგის უნივერსიტეტი, შვედეთი, სამაგისტრო პროგრამა- Software Engineering and Management Master's Programme
- ✓ ბლექინგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, შვედეთი, სამაგისტრო პროგრამა- Master's Program in Software Engineering
- ✓ როჩესტერის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, აშშ, სამაგისტრო პროგრამა- Master of Science in Software Engineering

ანალოგიური პროგრამების ანალიზში ჩანს როგორ არის პროგრამაში შედარების შედეგად გააზრებული საერთაშორისო კარგი პრაქტიკა. ასევე, რითი ჰგავს და განსხვავდება იგი ადგილობრივი პროგრამებისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ანალოგიური პროგრამების ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“.

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 29

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა -

მანანა ხაჩიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა -

მიხეილ რუხაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა -

ანი ქვათაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა -

მარიამ მაჭავარიანი